საკრებულოს იურიდიულ
საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმიN1

ქ.თერჯოლა
ან. ჭანტურიძის ქ. №7

09 იანვარი 2024 წ

სხდომას უძღვებოდა: იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ბიძინა ბუცხრიკიძე.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ბიძინა ბუცხრიკიძე, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. ომარი ჯიხვაშვილი, 4. კობა კაცაძე, 5.ჯემალი ისაკაძე, 6. იზა მაგრაქველიძე; 7. გიორგი ზარათაშვილი ; 8. ნატალია ასათიანი, 9. ეკა ბერძენიშვილი;

სხდომას არ ესწრებოდა: დავით ცხადაძე, რუსუდან კოვზირიძე;

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის უფროსი ხათუნა ნიკოლაძე, საკრებულოს სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ფიქრია ბუსკივაძე;

კომისიის სიითი შემადგენლობა: 11 წევრი.
კვორუმი: 6 წევრი.
დამსწრე კომისიის წევრთა რაოდენობა: 9 წევრი.

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად'</u>

სხდომის თავმჯდომარემ **ბიძინა ბუცხრიკიძემ** კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1.,, წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282400511 წერილი, 05/01/2024 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282400412 წერილი, 04/01/2024 წ);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი;

<u>დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.</u>

<u>კომისიის სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.</u>

1.მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ ,, წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესი"-ს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილების დანართის მე-2 მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად წარმატებული სპორტსმენია – საქართველოს, ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიურ თამაშებში თერჯოლის ან საქართველოს სახელით მოასპარეზე 18-დან 26 წლამდე (თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული) ახალგაზრდა სპორტსმენი, რომელმაც დაიკავა I, II, III ადგილი, ამავე დაგენილების თანახმად, წარმატებული სპორტსმენის ჯილდო განსაზღვრულია შემდეგნაირად:

ა) საქართველოს ჩემპიონატის I ადგილი – 400 ლარი; II ადგილი – 300; III ადგილი – 200 ლარი;
ბ) ევროპის ჩემპიონატის I ადგილი – 2 200 ლარი; II ადგილი – 1500; III ადგილი – 1000 ლარი;
გ) მსოფლიო ჩემპიონატის I ადგილი – 5000 ლარი; II ადგილი – 4000; III ადგილი – 3000 ლარი;
დ) ოლიმპიური თამაშების I ადგილი – 10 000 ლარი; II ადგილი – 9000; III ადგილი – 8000 ლარი

გამომდინარე იქედან, რომ მუნიციპალიტეტს გარდა 18-დან 26-წლამდე სპორტსმენებისა, ჰყავს 30 წლამდე წარმატებული სპორტსმენებიც, შესაბამისად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევიდეს ცვლილება და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილების დანართის მე-2 მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დადგენილების დანართის მე-2 მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით":

,,ბ" წარმატებული სპორტსმენი – საქართველოს, ევროპის, მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიურ თამაშებში თერჯოლის ან საქართველოს სახელით მოასპარეზე **18-დან 30** წლის ჩათვლით (თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული) ახალგაზრდა **სპორტსმენი, რომელმაც დაიკავა I, II, III ადგილი;"**

აზრი გამოთქვეს:
კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ დადგენილების პროექტს;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,წარმატებული სპორტსმენისა და წარმატებული მწვრთნელის, ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი სკოლის მოსწავლეების, წარმატებული ახალგაზრდის, სახელმწიფო სასწავლო გრანტის მფლობელი სტუდენტის დაჯილდოებისა და ახალგაზრდული ინიციატივის დაფინანსების წესში" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 ნოემბრის №44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მუხლი 2. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

2. მოისმინეს: მომხსენებელმა იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ კომისიის სხდომას გააცნო საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ .

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობების სია. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტორული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით განსაზღვრული განაშენიანების დეტალური გეგმის ფარგლებსა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ფარგლებში შესათანხმებელი გამწვანების პროექტთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაზღვრა, აგრეთვე მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული დაგეგმილი გამწვანების (რომელშიც აღწერილია სავარაუდო გამწვანების პროექტი) მოთხოვნების განსაზღვრა.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ბარათაშვილმა, ჯემალ ისაკაძემ;

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9, წინააღმდეგი-არცერთი;

გადაწყვიტეს:

მუხლი 1. უნდა დამტკიცდეს დადგენილების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების დამტკიცების შესახებ .

მუხლი 2. საკრებულოს დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს და სხდომას დასამტკიცებლად.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს იურიდიულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე: